აღჭურვილობაზე - წლიური 14%-დან 50%-მდე განაკვეთი.

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკატორი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორი. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენებით ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

არამატერიალური აქტივები

ორგანიზაციის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს.

შეძენილ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს ერიცხება ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით წლიური 15% ოდენობით.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა.

3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადის, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4 შემოსავლები და მასთან დაკავშირებული ხარჯები

	2018	2017
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	4,416,956	6,910,028
შემოსავალი მომსახურებიდან	15,918,642	13,599,462
შემოსავალი მასალების რეალიზაციიდან	2,510,598	2,133,557
სულ შემოსავალი	22,846,196	22,643,047
სამშენებლო კონტრაქტებზე გაწეული ხარჯები	(3,674,919)	(6,314,414)
მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	(16,099,752)	(12,427,250)
რეალიზებული მასალების თვითღირებულება	(2,231,219)	(1,416,562)
სულ ხარჯი	(22,005,890)	(20,158,226)
საოპერაციო მოგება	840,306	2,484,821

კომპანიამ 2016 წლის ნოემბერში გააფორმა კონტრაქტი მოვლა-შენახვაზე, რომლის ძირითადი პირობაა ხელშეკრულებაში მითითებულ ზონაში შემაგალი საავტომობილო გზებისა და გარე განათების ქსელის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების წარმოება. კონტრაქტის დასრულების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 10 ნოემბერი. კომპანიას აღნიშნული კონტრაქტიდან მიღებული შემოსავალი ნაღიარები აქვს „შემოსავალი მომსახურებიდან“ მუხლში.

„შემოსავალი მომსახურებიდან“ კონტრაქტების დასრულების სტადია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა შემოსავლების მეთოდით:

	მოვლა-შენახვის პროექტი	სხვა მომსახურებები	სულ
დღემდე აღიარებული მომსახურების კონტრაქტების ხარჯები	22,007,607	8,242,831	30,250,438
აღიარებული მოგება	1,092,062	61,232	1,153,294
დღემდე აღიარებული შემოსავალი კონტრაქტებიდან	23,099,669	8,304,063	31,403,732
შემცირება: მიღებული ფულადი გადახდები	(22,399,206)	(9,181,688)	(31,580,894)
საკონტრაქტო მოთხოვნა	700,463	258,456	958,919
საკონტრაქტო ვალდებულება	-	(1,136,081)	(1,136,081)
პროექტის დასრულების სტადია	99%	60%	

„შემოსავალი მომსახურებიდან“ კონტრაქტების დასრულების სტადია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა შემოსავლების მეთოდით:

	მოვლა-შენახვის პროექტი	სხვა მომსახურებები	სულ
დღემდე აღიარებული მომსახურების კონტრაქტების ხარჯები	12,817,873	1,332,814	14,150,687
აღიარებული მოგება	1,248,685	85,718	1,334,403
დღემდე აღიარებული შემოსავალი კონტრაქტებიდან	14,066,558	1,418,532	15,485,090
შემცირება: მიღებული ფულადი გადახდები	(13,578,792)	(1,418,532)	(14,997,324)
საკონტრაქტო მოთხოვნა	487,766	-	487,766
პროექტის დასრულების სტადია	60%	100%	

გარდა მოვლა-შენახვის კონტრაქტისა, 2018 წლის განმავლობაში კომპანიას ასევე ჰქონდა 2018 წელს დაწყებული და დასრულებული სამშენებლო პროექტები, რომელთა თანხების რეკონსილაციას აქვს შემდეგი სახე:

	2018	2017
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	9,989,334	6,314,415
საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული მოგება	1,337,648	595,613
დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	11,326,982	6,910,028
შემცირება: მიღებული ფულადი გადახდები	(11,232,314)	(6,777,002)
კლიენტებისაგან მისაღები შეზღუდული თანხები	12,213	133,026
მოთხოვნები კლიენტების მიმართ	82,455	-
პროექტების დასრულების სტადია	97%	93%

5 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
უიმედო ვალების ანარიცხის ხარჯი	700,084	232,741
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	830,197	716,608
საიჯარო ხარჯი	88,817	154,776
გადასახადები მოგების გარდა	67,297	107,726
საბანკო გარანტიის საკომისიო	40,874	38,615
კომუნალური გადასახადები, არაპირდაპირი	39,518	20,854
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	30,576	36,786
დაზღვევის ხარჯი	16,510	-
ცვეთა და ამორტიზაცია, არაპირდაპირი	11,033	9,134
ბანკის მომსახურების ხარჯი	10,091	10,350
მივლინების ხარჯები	68,100	21,974
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	38,540	98,313
სულ	1,941,637	1,447,877

6 სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი წარმოადგენს სამშენებლო მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების გაქირავებით მიღებულ შემოსავალს, რამაც 2018 წელს შეადგინა 191,371 ლარი, ხოლო 2017 წელს - 209,485 ლარი.

7 ფინანსური ხარჯები

	2018	2017
სესხის საპროცენტო ხარჯი	98,534	34,933
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი	74,340	23,775
სულ	172,874	58,708

8 წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2018	2017
მოგება/ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	41,436	4,971
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	(73,971)	16,923
წმინდა	(32,535)	21,894

2018 წელს სხვა არასაოპერაციო ხარჯების მუხლი შედგება კონტრაქტების პირობების დარღვევით გამოწვეული მიღებული ჯარიმების თანხებისგან.

9 მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2018 საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 16,186 ლარი (2017: 12,200 ლარი).

ცხრილში მოცემულია მოგების გადასახადის რეკონსილაცია 2018 და 2017 წლებისათვის:

	2018	2017
მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციები(გროსი)	278,453	222,908
გადახდილი დივიდენდი	236,685	189,472
დასარიცხი მოგების გადასახადის ხარჯი 15%	41,768	33,436
მოგების გადასახადის შეღავათი	(25,582)	(21,236)
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	16,186	12,200

10 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობებ ი	მანქანა- დანადგარებ ი	ოფისის აღჭურვილ ობა ლარი	სატრან- სპორტო საშუალებები ლარი	ფინ. იჯარით აღებული ლარი	სულ ლარი
თვითღირებულება							
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	18,500	623,487	5,755,560	105,491	3,790,140	2,076,525	12,369,704
შეძენა	107,061	36,232	431,736	8,747	2,065,300	1,278,134	3,927,211
რეკლასიფიკაცია ლიზინგით აღებული აქტივების ჯგუფიდან	-	-	-	-	2,076,525	(2,076,525)	-
გასვლა/გაყიდვა	-	-	(165,315)	(18,129)	(1,644,192)	-	(1,827,636)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	125,561	659,719	6,021,982	96,108	6,287,773	1,278,134	14,469,278
შეძენა	-	41,638	558,333	3,476	163,030	299,147	1,065,624
გასვლა	-	-	(455,904)	-	(148,371)	-	(604,275)
ჩამოწერა	-	-	-	(14,430)	(121,612)	-	(136,042)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	125,561	701,357	6,124,411	85,154	6,180,821	1,577,281	14,794,585
დაგროვილი ცვეთა							
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(232,459)	(3,403,960)	(59,603)	(1,826,928)	(733,975)	(6,256,926)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(17,758)	(650,531)	(9,134)	(643,295)	(55,829)	(1,376,547)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	143,401	10,948	147,112	-	301,461
რეკლასიფიცირებული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(733,975)	733,975	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(250,218)	(3,911,090)	(57,789)	(3,057,086)	(55,829)	(7,332,011)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(20,864)	(594,189)	(6,437)	(563,351)	(258,910)	(1,443,752)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	258,722	-	120,433	-	379,155
ჩამოწერილი ძირ. დაგროვილი ცვეთა	-	-	-	11,159	69,058	-	80,217
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(271,082)	(4,246,557)	(53,067)	(3,430,946)	(314,739)	(8,316,390)
საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	125,561	409,501	2,110,892	38,319	3,230,688	1,222,306	7,137,267
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	125,561	430,275	1,877,854	32,087	2,749,876	1,262,543	6,478,195

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები წარმოადგენს საოპერაციო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებს. შესაბამისი ვალდებულებები წარმოდგენილია მე-18 განმარტებით შენიშვნაში.

სს „თიბისი“ ბანკთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, კომპანიას დაგირავებული ჰქონდა მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და მიწის ნაკვეთები საბალანსო ღირებულებებით 1,247,223 ლარი, 219,515 ლარი და 125,561 ლარი.

2018 წლის ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯიდან 1,432,718 ლარი მიეკუთვნა პროექტების თვითღირებულებას.

11 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	სულ
თვითღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	92,496	92,496
შეძენა	74,890	74,890
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	167,386	167,386
შეძენა	73,389	73,389
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	240,775	240,775
დაგროვილი ამორტიზაცია		
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(30,463)	(30,463)
ამორტიზაცია 2017	(15,374)	(15,374)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(45,837)	(45,837)
ამორტიზაცია 2018	(19,428)	(19,428)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(65,265)	(65,265)
საბალანსო ღირებულება		
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	121,549	121,549
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	175,510	175,510

კომპანიის ბალანსზე არსებული ლიცენზიები წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების (ღირსი, ქვიშა და ა.შ.) მოპოვების უფლებებს ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული ვადით.

2018 წლის მთლიანი ამორტიზაციის ხარჯი მიეკუთვნა პროექტების თვითღირებულებას.

12 მარაგები

	2018	2017
სათადარიგო ნაწილები	1,614,016	681,715
ნედლეული	324,908	623,765
საწვავი და საპოხი მასალები	89,633	57,800
სხვა მარაგები	55,271	65,038
სულ	2,083,828	1,428,318

13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები	2,291,121	2,312,605
დამკვეთისგან მისაღები დაკავებული თანხები	12,213	133,026
გადახდილი ავანსები	-	100,170
მოთხოვნები მომსახურების გაწევის კონტრაქტებიდან	1,041,375	487,766
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(2,289,558)	(1,589,474)
სულ მოთხოვნები	1,055,151	1,444,093

დამკვეთისგან მისაღები დაკავებული თანხები მოიცავს თანხებს, რომლებიც კომპანიას უკავდება კონტრაქტის საგარანტიო ვადის გასვლამდე.

საკონტრაქტო მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ქვედა ცხრილში მოცემულია საექვო მოთხოვნების რეკონსილაცია 2018 და 2017 წლებისათვის:

	სავაჭრო	საკონტრაქტო	სულ
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,310,112	143,212	1,453,324
საექვო მოთხოვნების ანარიცხების ხარჯი	136,150	-	136,150
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,446,262	143,212	1,589,474
საექვო მოთხოვნების ანარიცხების ხარჯი	831,083	12,213	843,296
საექვო მოთხოვნების ანარიცხების შემცირება	-	(143,212)	(143,212)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,277,345	12,213	2,289,558

14 ფული და ფულის ეკვივალენტები

	2018	2017
ფული სალაროში	22	126
ფული ბანკში	2,061,372	568,004
სულ	2,061,394	568,130

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბანკო ანგარიშზე აღრიცხული 344 ათასი ლარი წარმოადგენდა დამკვეთებისგან ავანსის სახით მიღებულ თანხას, რომელიც ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით განთავსებული იყო სს „თიბისი ბანკში“ ბლოკირებულ ანგარიშზე.

აღნიშნული თანხა კომპანიის მიმდინარე ანგარიშზე გადავიდა 2019 წლის 4 იანვარს.

15 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების თანახმად, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,235,652 ლარით, რომელიც შეესაბამება მფლობელთა შენატანებით კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე.

დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით კომპანიამ 2018 წლის განმავლობაში დივიდენდად გამოაცხადა და გასცა 236,685 ლარი (2017: 189,472).

16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები	1,308,438	573,109
სახელფასო ვალდებულება	278,821	236,229
მიღებული ავანსი კონტრაქტის ფარგლებში (იხ. შენიშვნა 4)	1,136,081	-
მიღებული ავანსები	142,861	143,365
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	12,900	2,768
სულ	2,879,101	955,471

17 მიღებული სესხები

კომპანიის მიერ აღებული სესხების ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოკლევადიანი სესხები	აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა
სს „თიბისი ბანკი“	31-03-2018	31-03-19	10.5%	ლარი	1,000,000
დირექტორი	05-01-2018	31-12-18	20%	ლარი	3,697
სულ ძირი					1,003,697
გადასახდელი პროცენტი					5,370
სულ მოკლევადიანი სესხები					1,009,067

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

მოკლევადიანი სესხები	აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა
სს „თიბისი ბანკი“	27-12-17	15-12-18	10.5%	ლარი	200,173
დირექტორი	01-11-16	31-12-17	20%	ლარი	5,856
სულ ძირი					206,029
გადასახდელი პროცენტი					921
სულ მოკლევადიანი სესხები					206,950

სს „თიბისი ბანკის“ სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 10.5%-ით. ნომინალურ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს შორის არ არის არსებითი სხვაობა.

ბანკისგან აღებული სესხის პროცენტი იფარება ყოველთვიურად, ხოლო ძირი ხელშეკრულების ვადის ბოლოს.

საპროცენტო ხარჯების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-7 განმატრებით შენიშვნაში.

18 ფინანსური ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდებში ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგ ნაშთებს:

	2018	2017
მინიმალური სალიზინგო გადასახადი	728,959	1,092,463
გადახდილი ავანსი	87,339	244,603
სულ სალიზინგო კონტრაქტის თანხა	816,298	1,337,066
მომავალში გადასახდელი პროცენტი	(46,720)	(63,655)
დარჩენილი ღირებულება	(87,339)	(244,603)
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულებები	682,239	1,028,808

მინიმალური სალიზინგო გადასახადი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2018	2017
ერთი წლის განმავლობაში	571,845	101,143
ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდში	157,114	991,320
ხუთი წლის შემდეგ	-	-
შემცირება: მომავალში გადასახდელი პროცენტი	(46,720)	(63,655)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების დღევანდელი ღირებულება	682,239	1,028,808

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ლიზინგის მიმღებზე აქტივის მფლობელობა კონტრაქტის ვადის ამოწურვისას გადადის, ხოლო აქტივის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი კონტრაქტის დადებისთანავე.

ფინანსური იჯარების ხელშეკრულებების თანახმად, კომპანია იხდის გრაფიკით განსაზღვრულ თანხას, რაშიც შედის როგორც დარიცხული პროცენტი, ასევე ვალდებულების ძირი.

ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი წარმოდგენილია მე-7 განმარტებით შენიშვნაში.

19 საგადასახადო ვალდებულებები

	2018	2017
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	(12,378)
წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	100,350	96,407
გადასახდელი დღგ	(389,205)	(259,453)
გადასახდელი ქონების გადასახადი	(64,520)	(65,251)
სხვა საგადასახადო აქტივები	3,471	28,663
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	(349,904)	(212,012)

20 პირობითი ვალდებულებები

საბანკო გარანტიები

სატენდერო და მიმდინარე სამშენებლო კონტრაქტებისგან წარმოშობილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ აღებული საბანკო გარანტიების ჯამური თანხა შეადგენდა 2,817,613 ლარს (2017: 771,585 ლარი).

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
1 წლის განმავლობაში	92,370	94,136
1 წლიდან 5 წლამდე პერიოდში	-	-
5 წლის შემდგომ პერიოდში	-	-
სულ	92,370	94,136

21 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მომდევნო ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც გახორციელდა 2018 წლის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირ. მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ტრანზაქციები	ფიზიკური პირები	იურიდიული პირები
შემოსავალი	-	-
ხარჯი	61,200	-
ნაშთები		
მოთხოვნები	2,704	-
ვალდებულებები	6,257	-

ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ 2018 წელს შეადგინა 145,250 ლარი (2017: 133,909)

22 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

2018 წლის 31 დეკემბრიდან ამ ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მმართველობითი ანგარიშგება

2018 საანგარიშო წლის საქმიანობის მიმოხილვა

გორი, 2018 წ. 31 დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბოლია“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. შპს „იბოლია“-მ სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 1995 წლის 29 დეკემბერს გორის სასამართლოს მიერ, სარეგისტრაციო ნომერი 8/4-46, მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 217873031. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია - ქ. გორი ცხინვალის გზატ. მე-3 კმ.

საწარმოს დამფუძნებლებს წარმოადგენენ:

ფ/პ იოსებ მაკრახიძე პ/ნ 59001005148, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 40% -ს,
ფ/პ ოფელია მაკრახიძე პ/ნ 59001000635, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 15%-ს
ფ/პ მარიანა მაკრახიძე პ/ნ 59001004393, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 15%-ს
ფ/პ გოდერძი მიქავა პ/ნ 59001019086, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 10%-ს
ფ/პ პაატა მიქავა პ/ნ 59001012236, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 5%-ს
ფ/პ ელისო მიქავა პ/ნ 59001004079, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 5%-ს
ფ/პ თამარ მიქავა პ/ნ 59001014441, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 5%-ს
ფ/პ ნინო მიქავა პ/ნ 59001014440, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 5%-ს

საწარმოს საქმიანობის სახე: გზების და ავტობანების მშენებლობა

საწარმოს საქმიანობის (NACE) კოდი: 42110

1.2. დარგის მიმოხილვა

დარგის ეკონომიკური სიტუაცია მნიშვნელოვან ზრდას განიცდის. ამის ხელშემწყობი ფაქტორია ქვეყნის ხედვა, განავითაროს ინფრასტრუქტურა. წლიდან წლამდე იზრდება სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა. გამომდინარე აქედან, ბაზარი არის ძალიან დიდი. ტენდერში მონაწილეობა არის გართულებული, მაღალია კონკურენცია. ითხოვენ გარკვეულ პირობებს, რომლებიც არც ისე იოლია კომპანიისთვის. არის სპეციფიკური გამოცდილების მოთხოვნა.

კომპანია ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მაშტაბით დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობა, ასევე კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს N 11 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოებს.

კომპანია არის ტენდერების თეთრ სიაში, რომელიც გულისხმობს კომპანიისთვის გარკვეულწილ შეღავათებს. კომპანია ბაზარზე ფუნქციონირებს 24 წელია, აქედან გამომდინარე კომპანიას დაუგროვდა დიდი გამოცდილება ამ სფეროში, განხორციელებული გვაქვს ძალიან ბევრი ქვეყნისთვის სასარგებლო პროექტები.

კერძოთ 2015 წლიდან 2019 წლამდე შესრულებული პროექტები:

სამუშაოთა (ხელშეკრულების) დასახელება	შპს „იბოლია“			
	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.
საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულების გზების მიმდინარე შეკეთება (მოვლა-შენახვა), ზონა №14 (ხელშ. ტ.№42-10, 25.05.2010), (ხელშ. ე.ტ.№74-11, 13.12.2011), (ხელშ. ე.ტ.№47-12, 18.04.2012), (ხელშ. ე.ტ.№47-12, 18.04.2012), (ხელშ. ე.ტ.№26-13, 19.03.2013), (ხელშ. ე.ტ.№26-13, 19.03.2013), (ხელშ. ე.ტ.№10-14, 31.01.2014), (ხელშ. ე.ტ.№19-15, 20.02.2015), (ხელშ. ე.ტ.№25-16, 19.02.2016)	2 814 163,20	3 274 484,75		
საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულების გზების მიმდინარე შეკეთება (მოვლა-შენახვა), ზონა №16 (ხელშ. ე.ტ.№62-14, 28.11.2014), (ხელშ. ე.ტ.№86-15, 14.07.2015), (ხელშ. ე.ტ.№61-16, 30.03.2016)	2 778 191,23	3 307 042,34		
ადგილობრივი მნიშვნელობის მლაშე-მოხე-დერცელის ს/გზის კმ.1-კმ.11,34 მონაკვეთის რეაბილიტაცია (ხელშ. #SLRP III/CW/NCB-04, 05.11.2014)	4 380 294,21	1 907 984,49		

ადგილობრივი მნიშვნელობის ახალქალაქი-ნოსტე-მთიულთუბანის ს/გზის კმ. 0+000 - კმ. 5+700 მონაკვეთი რეაბილიტაცია (ხელშ. #SLRP III/CW/NCB-07 LOT-II, 15.12.2014)	2 825 920,75			
ე-60 ჩქაროსნული მაგისტრალის რუისი-აგარა-აგარის შემოვლითი გზის (კმ.95-კმ.114) პროექტის სამშენებლო ობიექტზე, ასფალტის საფარის სამშენებლო სამუშაოები (ხელშ. #E60CD-FB-LQ-176, 24.07.2015)	4 774 709,64			
ქ. საჩხერეში, ივ. გომართელის და დ. აღმაშენებლის ქუჩების ასფალტო- ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები (ხელშ. #147, 06.08.2015)	420 960,13			
სოფ. სავანის გზიდან აკ. წერეთლის ძიძისეულ კარმიდამოდდე მისასვლელი ს/გზაზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა. (ხელშ. #88, 2.07.2015)	1 696 966,05			
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აგარა-ყორნისი- ცხინვალის ს/გზის რეაბილიტაცია კმ.1-4, კმ. 9-16 (ხელშ. #SLRP III/CW/NCB-06, 24.11.2014)	2 468 903,49			
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე- ჭიათურა-ზესტაფონის ს/გზის კმ.3; კმ37-42 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	2 375 038,25			
E-60 ავტომაგისტრალის რუისი- აგარა-აგარას შემოვლითი გზის კმ 95-კმ114 მონაკვეთის გასწვრივ სოფლის გზების მშენებლობა, I ეტაპი, ადგილობრივი გზა პკ 0+72- პკ35+11 მარჯვენა მხარე (ხელშ. #EWHIP-4/CW/NCB/03 , 14.03.2016წ.)		2 334 862,15		
ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, შ- 55 გზიდან მარელისი-ტყეპარკის კოტეჯამდე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხელშ. №GOG/ET/CW/2464/2015, 18.12.2015წ.)		1 066 335,51		

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულების გზების მიმდინარე შეკეთება (მოვლა-შენახვა), ზონა №11 (ხელშ. ე.ტ.#117-16, 10.11.2016)		2 272 241,62	14 326 297,38	10 659 071,75
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გორი-ვარიანი- ცხინვალის ს/გზის კმ.21-კმ.25 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები(ხელშ.20.12.2016)			1 244 003,51	
კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების ოკამი-ლამისყანა-თეზის თბილისი-სენაკი ლესელიძის ჩქაროსნული მაგისტრალთან შემაერთებელი გზების სრული რეაბილიტაციის სამუშაოები (ხელშ.12.05.2017)			435 559,62	
ქ. გორში რკ. სადგურის დასახლებაში არსებული ქუჩების და სანიაღვრე სისტემების მოწყობარეაბილიტაცია (გორიჯვრის ქუჩა, კეცხოველის ქუჩის სანიაღვრე) სამუშაოები (ხელშ.01.11.2016)		221 129,04	535 112,84	
ქ. გორში გურამიშვილის ქუჩის და ამილახვრის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხელშ.15.05.2017)			380 418,20	
ქ. გორში ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხელშ.18.05.2017)			170 436,90	
ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაბა წაღვერში და სოფ. დაბაში გზების რეაბილიტაციის სამუშაოები (ხელშ. #369, 27.10.2017)		229 562,14	215 365,05	
ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან მისასვლელი გზის სამუშაოები (ხელშ.22.03.2017)			505 178,43	
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის ცენტრიდან დევნილთა ჩასახლებაში მისასვლელი გზის ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები (ხელშ. #43, 14.06.2017)			298 519,50	
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთიდან სოფელ ზარდიაანთკარში მისასვლელი გზების ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოები (ხელშ. #39, 02.06.2017)			319 637,41	

ქარელის მუნიციპალიტეტში, სასირეთი ბრეთის მეურნეობის, ბებნისის და წვერის გზის ასფალტირების სამუშაოები (ხელშ. #68, 09.06.2017)			730 150,71	
ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოხისის საავტომობილო გზის ასფალტირების სამუშაოები (ხელშ. #52, 05.05.2017)			1 318 000,00	
ქ. გორში 26 მაისის სახელობის სანაპიროს და ლომჭაბუკის სკვერის მიმდებარედ არსებული გზების და მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხელშ. #104, 18.07.2017)			379 020,00	
ქალაქ გორში სამების ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები (ხელშ. #10, 2003.2018)				566 862,48
ქ.გორში თბილისის ქუჩისა და ჩიხის სარეაბილიტაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობის სამუშაოები (ხელშ. #12, 22.03.2018)				426 054,69
ქ.გორში თოიძის ქუჩის სავალი ნაწილის ასფალტობეტონის საფარის მოწყობის და დავითაშვილის ქუჩის სავალი ნაწილის ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები (ხელშ. #21, 05.04.2018)				286 050,66
მცირე მამტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებები მცხეთა მთიანეთის რეგიონში - თბილისი (გლდანის) - თიანეთის საავტომობილო გზა - (ხელშ.#SLRP II/CW/NCB-19, 23.07.2018)				2 728 443,28
ქ.გორში, სამხატვრო სკოლის მიმდებარე მოედნის, სტალინის გამზირის (სამხატვრო სკოლის მიმდებარე მოედნიდან ქუთაისის ქუჩის კვეთამდე) მონაკვეთის და მათ მიმდებარე და კახნიაშვილის ქუჩის სანიაღვრე წყალანირების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (ხელშ. #48, 07.06.2018)				556 443,06

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ საკორინთლო-ახალშენასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ხელშ. #78, 19.06..2018)				1 564 000,00
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთში გზის ასფალტირების სამუშაოები (ხელშ. #56, 25.06.2018)				517 221,32

1.3. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა

კომპანიას გააჩნია მდგრადი ფინანსური მდგომარეობა. მტკიცე საგადაამხდლო დისციპლინა. ფინანსური მდგრადობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან: საიმედო მონაცემებთან, რომელიც მნიშვნელოვანია მოხმარებისთვის და სარგებლიანი ინფორმაციისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და შედეგისათვის. ინფორმაცია კომპანიას ყოველთვის აქვს სრული, დროული, ზუსტი. კომპანიის წინდახედული და სამართლიანი მიდგომებისა და შეფასებების ჩამოყალიბებით, ასევე ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება კომპანიის მდგრადობის ხელშემწყობია. აღნიშნული ვლინდება სექტორის სხვა კომპანიებთან ურთიერთობის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და აუდიტის ანალიზის შედარებაზე დაყრდნობით.

2. საწარმოს განვითარების პერსპექტივები და რისკები

2.1. მომავალი პერიოდების აქტივობები

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობისა და ხარისხის ამაღლება;
- ავტოპარკის და ასფალტბეტონის ქარხნის განახლება.

საწარმო გეგმავს 2019 წელს ახალი ასფალტბეტონის ქარხნის შეძენას.

2.2. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

კომპანიის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, წარმოადგენს: დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ეკოლოგიური რისკები;
- სატრანსპორტო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;

- კონკურენციის გაძლიერების რისკები;
- სამეურნეო ხელშეკრულებების შეუსრულებლობის რისკები;
- ტექნიკური რისკები.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები: ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

ფინანსური რისკები: თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო რისკი: კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები: შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები: საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირება.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები: გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე შპს „იბოლია“-ს მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

სამართლებრივი რისკები: სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

2.3. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა - აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში.

უფლებები და ვალდებულებები - კომპანია უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე.

შეფასება და განაწილება - ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სიზუსტე - ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.

წარდგენა და გახსნა - ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

3. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოს დაცვითი კანონმდებლობის შესახებ კომპანია ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას. საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;

რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;

დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;

ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ) დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

4. სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შპს "იბოლია" ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

შპს „იბოლია“-ს დირექტორი:

დავით გოდერძიშვილი

4. სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შპს "იბოლია" ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

შპს „იბოლია“-ს დირექტორი:



დავით გოდერძიშვილი